



სამოქალაქო ბანათლების ტესტი

2015

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტში სხვადასხვა ტიპის დავალებებია. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ კითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ. ყველა პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ. ღია დავალებებში თქვენს მიერ დაშვებული შეცდომა უნდა გადახაზოთ (არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ფრჩხილები!). პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს. გთხოვთ, წეროთ გარკვევით. ტესტის ბუკლეტის ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 60

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი.

გაითვალისწინეთ:

გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს შეცდომები სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომი, რომელშიც იქნება მსგავსი აღნიშვნები, არ გასწორდება!

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

➤ არჩევითბოლოიანი დავალება (№1-24, 30.1-30.3)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით **X** ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებული პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

➤ შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

➤ შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

➤ დავალება ღია დაბოლოებით (№ 27-30)

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით და მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.


1. საქართველოში მცხოვრები ყველა პირი ვალდებულია იცავდეს:
 - ა. კონსტიტუციასა და ყველა იმ ადათ-წესს, რომელიც გავრცელებულია მისი უშუალო ცხოვრების ადგილას
 - ბ. კონსტიტუციითა და უმრავლესობის მიერ აღიარებულ რელიგიის კანონებს
 - გ. უმრავლესობის მიერ აღიარებულ ზნეობრივ კანონებსა და მოთხოვნებს
 - დ. კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს

2. რა ეწოდება ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც პროდუქციისა და მომსახურების წარმოება-განაწილების გადაწყვეტილებები თვითრეგულირებადია?
 - ა. შერეული
 - ბ. საბაზრო
 - გ. გეგმიური
 - დ. კოლექტიური

3. მდგრადი განვითარების კონცეფცია სამი კომპონენტის ჰარმონიულ ურთიერთკავშირს ეყრდნობა. ჩამოთვლილი კომპონენტებიდან რომელია ზედმეტი?
 - ა. გარემოს მდგრადი განვითარება
 - ბ. მდგრადი ჰუმანური განვითარება
 - გ. მდგრადი სოციალური განვითარება
 - დ. მდგრადი ეკონომიკური განვითარება

4. ქვემოთ მოცემულია კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის სტრატეგიები. რომელ მათგანს ეწოდება არიდება?
 - ა. მხოლოდ ერთი მხარის ინტერესების დაკმაყოფილება
 - ბ. საკუთარი და დაპირისპირებული მხარის ინტერესების იგნორირება
 - გ. მეორე მხარის ინტერესების დაკმაყოფილება საკუთარი ინტერესების ხარჯზე
 - დ. მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილება, ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მოძიება


5. ქვემოთ მოცემულია სქემა, რომელიც ასახავს საბაზრო სტრუქტურას კონკურენციის ხარისხის კლების მიხედვით:



რომელი ტერმინია გამოტოვებული?

- ა. ოლიგოპოლია
 - ბ. მეგალომანია
 - გ. მეგალოპოლია
 - დ. ოლიგოფრენია
6. რა ეწოდება მრავალფეროვნების ორგანიზების ფორმათაგან ერთ-ერთს, რომელიც გულისხმობს განსხვავებული ნიშნის მქონე ჯგუფისა თუ ადამიანის გარიყვას, განცალკევებას?
- ა. ასიმილაცია
 - ბ. სეგრეგაცია
 - გ. თანაარსებობა
 - დ. ტოლერანტობა
7. ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელი შეიძლება მივიჩნიოთ დემოკრატიის დადებით მახასიათებლად?
- ა. უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ძალზე მცირე რაოდენობრივი განსხვავების დროს საზოგადოების თითქმის ნახევრის ნება აღმოჩნდება უგულვებელყოფილი
 - ბ. უმრავლესობის მხარდაჭერა არ არის საუკეთესო, უნაკლო გადაწყვეტილების მიღების გარანტია
 - გ. არ ხდება არც ერთი პოლიტიკური ჯგუფის შევიწროება, მიუხედავად იმისა, იზიარებს თუ არა მის იდეოლოგიას მმართველი ძალა
 - დ. დემოკრატიის განხორციელება მხოლოდ მცირერიცხოვანი მოსახლეობის და შეზღუდული ტერიტორიის პირობებშია შესაძლებელი

8. ქვემოთ მოცემულია სტრატეგიული დაგეგმვისას გარემოსა და საკუთარი შესაძლებლობების გაანალიზების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდის ე.წ. SWOT ანალიზის ამსახველი არასრული სქემა. ჩამონათვალიდან რომელი შეესაბამება ცარიელ უჯრედს?



- ა. შედეგები
 ბ. შეფასებები
 გ. საფრთხეები
 დ. ალტერნატივები
9. ჩამოთვლილი ნიშნებიდან რომელი არ ახასიათებს კანონიერების კულტურის მატარებელ საზოგადოებას?
- ა. არსებობს კანონის შეცვლის სისტემა
 ბ. უმრავლესობას სურს დაემორჩილოს კანონს
 გ. დანაშაულის მიმართ საზოგადოების უმეტესობის აზრი უარყოფითია
 დ. კანონის მოქმედებას განსაზღვრავს მოქალაქეთა სოციალური სტატუსი
10. რა ეწოდება სამოქალაქო მონაწილეობის საფეხურს, როდესაც საზოგადოების წევრები და ჯგუფები განიხილავენ პრობლემის მოგვარების საუკეთესო შესაძლებლობებს და ქმნიან ერთიან კოალიციას გადაწყვეტილების მიმღებებთან ერთად?
- ა. ინფორმირება
 ბ. კონსულტაცია
 გ. თანამშრომლობა
 დ. უფლებამოსილება

11. დემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ პროცესებში მოქალაქის მონაწილეობა არ გულისხმობს:

- ა. სამოქალაქო კონტროლის განხორციელებას
- ბ. სახელმწიფო ფინანსების გონივრულ ხარჯვას
- გ. მიმდინარე პროცესებზე პოლიტიკურ და სოციალურ გავლენას
- დ. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას

12. რა ეწოდება რაიმე სოციალურ მოვლენაზე, ობიექტზე ან ჯგუფზე გავრცელებულ სქემატურ, განზოგადებულ შეხედულებას?

- ა. სექსიზმი
- ბ. სტერეოტიპი
- გ. დისკრიმინაცია
- დ. დისკრედიტაცია

13. ჩასვით ტექსტში შესაბამისი ტერმინი:

საზოგადოებრივი საქმიანობის ან ურთიერთობის სფეროს რეგულირების მიხედვით, სამართლებრივი ნორმები დაყოფილია ჯგუფებად, რომელთაც _____ ეწოდება. მაგალითად: სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და სხვა.


- ა. ორგანული კანონები
- ბ. ნორმატიული აქტები
- გ. სამართლებრივი აქტები
- დ. სამართლის დარგები

14. ჩასვით ტექსტში შესაბამისი ტერმინი:

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ზღუდავს მებრძოლ მხარეებს ომის წარმოების მეთოდებსა და საშუალებებში. საერთაშორისო სამართლის ძირითადი დოკუმენტია ჟენევის 1949 წლის ოთხი _____ და 1977 წლის ორი დამატებითი ოქმი.

- ა. პეტიცია
- ბ. კონვენცია
- გ. დეკლარაცია
- დ. პროკლამაცია

15. რა იდეის წინააღმდეგაა მიმართული მოცემული ილუსტრაცია?



- ა. გარემოს დაცვის უგულვებელყოფის
- ბ. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის
- გ. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის
- დ. სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის

16. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვას:

2014 წლის სექტემბერში ჰონგ-კონგში გაიმართა არასანქცირებული მიტინგი, რომლის დროსაც დემონსტრანტებმა გადაკეტეს ქალაქის ძირითადი ქუჩები და შეაფერხეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა. პოლიციამ მოუწოდა დემონსტრანტებს დაშლისაკენ, რაზეც უარი მიიღო. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი აქციის დასაშლელად და ქალაქში წესრიგის დასამყარებლად.

რომელი პოზიცია არის მართებული სამართალდამცავთა ქმედების შესაფასებლად?

- ა. სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება გაუმართლებელი იყო, ვინაიდან დემონსტრანტები არ არღვევდნენ კანონს
- ბ. პოლიციას აქვს ნებისმიერი აქციის დაშლის უფლება, ვინაიდან აქციების გამართვა ნეგატიურად აისახება სახელმწიფოს განვითარებაზე
- გ. სახელმწიფოს არ ჰქონდა გაზის გამოყენების უფლება, რადგან მას მოქალაქეებზე ძალადობის უფლება არ აქვს
- დ. თუკი პოლიციამ ცრემლსადენი გაზის გამოყენება წესრიგის აღდგენის აუცილებელ პირობად მიიჩნია, მას მისი გამოყენების ლეგიტიმური უფლება ჰქონდა


17. გაეცანით სიტუაციას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

პოლიტიკურად მოტივირებულმა ტერორისტმა მოახერხა რამდენიმე ადგილას ბომბის დადება, რომელიც მოკლე ხანში აფეთქდება, რასაც ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიძლება ემსხვერპლოს. პოლიციამ დააკავა ექვმიტანილი, რომელიც მაღალი ალბათობით ტერორისტია, თუმცა პოლიცია უძღურია ლეგალური მეთოდების გამოყენებით მიიღოს მისგან აღიარებითი ჩვენება. ექვმიტანილი დუმის ინარჩუნებს და ადვოკატის დანიშვნას ითხოვს. ზოგიერთი მაღალჩინოსანი ამ მძიმე სიტუაციიდან გამოსავალს ექვმიტანილის წამების გზით ინფორმაციის მიღებაში ხედავს.

ჩამოთვლილი მსჯელობებიდან, რომელი არ შეიძლება იქნას მიჩნეული ექვმიტანილის წამების საწინააღმდეგო რაციონალურ არგუმენტად?

- ა. შესაძლოა ექვმიტანილი შეცდომით არის დაკავებული და მისი წამება ასეთ შემთხვევაში არასამართლიანი იქნებოდა
- ბ. წამება, როგორც მეთოდი არ არის გამართლებული, ვინაიდან უდანაშაულო ადამიანმა ტკივილის შესამსუბუქებლად შეიძლება აღიაროს დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია
- გ. ტერორიზმში ექვმიტანილის წამების დაშვებამ შესაძლოა დაამკვიდროს წამება, როგორც აღიარებითი ჩვენების მოპოვების მეთოდი, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულში ექვმიტანილთა წინააღმდეგაც შეიძლება იქნას გამოყენებული
- დ. ყველა ადამიანს, მათ შორის ტერორისტს აქვს საკუთარი პოლიტიკური უკმაყოფილების ნებისმიერი ფორმით გამოხატვის თავისუფლება და ადამიანის წამება ჩვენთვის მიუღებელი გამოხატვის ფორმების გამო დაუშვებელია

18. დიაგრამაზე ასახულია დასაქმებული მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა:



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა. ხანდაზმული კაცები მეტად არიან დასაქმებულები, ვიდრე ქალები
- ბ. 25-34 წლის დასაქმებული კაცების რაოდენობა აღემატება 45-54 წლის დასაქმებული ქალების რაოდენობას
- გ. დასაქმებულ კაცთა საერთო რაოდენობა აღემატება დასაქმებულ ქალთა საერთო რაოდენობას
- დ. ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში დასაქმებული ქალების რაოდენობა აღემატება კაცების რაოდენობას

19. თქვენს წინაშეა 2014 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ განხორციელებული კვლევის შედეგები:

- მოსახლეობის უმეტესობას (94%) ესმის, რომ ბავშვისთვის საზიანოა, თუ ის ოჯახში ძალადობის მომსწრეა, თუმცა 91% ოჯახის „შიდა საქმეებში“ გარეშე პირთა ჩარევის წინააღმდეგია
- საქართველოს მოსახლეობის 75% მიიჩნევს, რომ ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა ქვეყანაში პრობლემას არ წარმოადგენს
- საქართველოს მოსახლეობის თითქმის 80% ფიქრობს, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

- ა. მოსახლეობის უმეტესობა არ აღიარებს ქვეყანაში ბავშვებზე რაიმე სახის ძალადობის არსებობას
- ბ. ფსიქოლოგიური ძალადობა საზოგადოების მიერ კარგად აღქმული და გაცნობიერებული პრობლემაა
- გ. მოსახლეობის უმეტესობა არ განიხილავს ბავშვთა მიმართ ძალადობას მხოლოდ ოჯახურ პრობლემად და მომხრეა მის გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის
- დ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ინფორმირებულია ძალადობის პრობლემის შესახებ, მოქალაქეთა უმრავლესობას არ აქვს გაცნობიერებული სამართლებრივი რეაგირების აუცილებლობა

20. ყურადღებით გაეცანით ამონარიდს საგაზეთო სტატიიდან და უპასუხეთ შეკითხვას:

X ქვეყნის დედაქალაქში ჩატარდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ორგანიზებული კონფერენცია. კონფერენციაზე განხილულ იქნა X ქვეყნის გამოცდილება ინფლაციის მართვის საკითხებში. ამ ქვეყნის ეროვნული ბანკის წარმომადგენლმა კონფერენციაზე განაცხადა: „მართალია, ჩვენს ქვეყანაში არსებული ინფლაციის ტემპი აღემატებოდა სასურველ დონეს, მაგრამ შარშან იგი უფრო დაბალი იყო, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში“. კონფერენციის შემაჯამებელ დოკუმენტში აისახა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები, რომელთა თანახმად გასულ წელს აღნიშნულ ქვეყანაში ინფლაციის დონე 2%-ით შემცირდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი ყოველკვარტალურად გამოსცემს ჟურნალს, რომელშიც მოცემულია ინფლაციის მაჩვენებლის პროგნოზები. გამოცემაში მითითებულია: „ეროვნული ბანკის პროგნოზით ინფლაცია წლის ბოლოს 3%-მდე შემცირდება. აღნიშნული კლება ეტაპობრივად, ეკონომიკის განვითარების პარალელურად, განხორციელდება.“ ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ზოგიერთი სკეპტიკურად განწყობილი ექსპერტი შიშობს, რომ მომავალ წელს ინფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება.

ტექსტიდან გამომდინარე რომელი წინადადება წარმოადგენს ფაქტს?

- ა. წლის ბოლოს ინფლაცია 3%-მდე შემცირდება
- ბ. მომავალ წელს ინფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება
- გ. შარშან X ქვეყანაში ინფლაციის ტემპი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში
- დ. ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ ჟურნალში მოცემულია ინფლაციის მაჩვენებლის პროგნოზები

21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვას:


„ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში ისაა, რომ არ დაემორჩილოს სხვა საკანონმდებლო ძალაუფლებას, გარდა იმისა, რაც სახელმწიფოში თანხმობით მიიღება; არ დაემორჩილოს რაიმე ნებას ან შეიზღუდოს რაიმე კანონით, გარდა იმისა, რასაც კანონმდებელი მიიღებს მისადმი გამოცხადებული ნდობის ფარგლებში. მაშასადამე, თავისუფლება არ არის ის, რასაც სერ რობერტ ფილმერი გვეუბნება: „თავისუფლებაა ყველამ აკეთოს ის, რაც მას მოესურვება, იცხოვროს, როგორც ეს იამოვნება და არ შეიზღუდოს რაიმე კანონებით“. არამედ, ხელისუფლების პირობებში მცხოვრები ადამიანების თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ არსებობდეს მოქმედი სახელმძღვანელო წესები, რაც საზოგადოების ყველა წევრზე თანაბრად გავრცელდება და რასაც მასში შექმნილი საკანონმდებლო ორგანო შემოიღებს. თავისუფლებაა, ვიმოქმედო ჩემი საკუთარი ნებით ყოველთვის, როცა ეს წესები ამას არ მიკრძალავს, არ დავექვემდებარო მეორე ადამიანის ცვალებად, გაურკვეველ, უცნობ, თვითნებურ სურვილებს.“

ჯონ ლოკი, მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე (1689)

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

- ა. ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორე ადამიანის თავისუფლება
- ბ. ადამიანი უნდა დაემორჩილოს მხოლოდ სახელმწიფოს კანონებს და სხვა ადამიანების სურვილების გათვალისწინება არ არის სავალდებულო
- გ. სახელმწიფოს კანონების გარდა არსებობს ე.წ. დაუწერელი კანონები, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრებისას
- დ. მთავრობა, რომელსაც ირჩევს უმრავლესობა, მოქმედებს უმრავლესობის ინტერესებიდან გამომდინარე და მას უნდა დაემორჩილოს ის უმცირესობაც, რომელსაც მთავრობა არ აურჩევია

22-24. მოცემული რუკა ასახავს ქვეყანათა დემოკრატიულობის ხარისხს (დემოკრატიის ინდექსი, „ეკონომისტის“ კვლევითი ჯგუფი, 2014). გაეცანით რუკას და უპასუხეთ შეკითხვებს:



22. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, დემოკრატიის ხარისხი:

- ა. ჩინეთში უფრო მაღალია, ვიდრე ინდოეთში
- ბ. ბრაზილიაში უფრო მაღალია, ვიდრე ავსტრალიაში
- გ. გერმანიაში უფრო მაღალია, ვიდრე თურქეთში
- დ. ესპანეთში უფრო დაბალია, ვიდრე მექსიკაში

23. რუკის მონაცემების საფუძველზე, ქვეყნები დაჯგუფებულია გარკვეული პრინციპის მიხედვით. ქვეყანათა რომელი ჯგუფი არ შეესაბამება აღნიშნულ პრინციპს?

- ა. კანადა, ავსტრალია, შვედეთი
- ბ. ინდოეთი, ბრაზილია, პოლონეთი
- გ. ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი
- დ. გერმანია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები

24. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

- ა. აზიის ქვეყანათა უმრავლესობა დემოკრატიულობის ძალიან მაღალი ხარისხით გამოირჩევა
- ბ. სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე დემოკრატიულობის უფრო მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში
- გ. ევროპის ქვეყნებს შორის სკანდინავიის ქვეყნებს დემოკრატიულობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გააჩნიათ
- დ. საქართველო კავკასიის რეგიონში ყველაზე ნაკლებად დემოკრატიულ სახელმწიფოდ მიიჩნევა

25. (2 ქულა) I სვეტში მოცემულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ხოლო II სვეტში უფლებათა ჯგუფები. დაადგინეთ შესაბამისობა I და II სვეტის მონაცემებს შორის:

I	II
<p>ა. არჩევნებში მონაწილეობა</p> <p>ბ. საცხოვრებლის არჩევა</p> <p>გ. მანიფესტაციის ჩატარება</p> <p>დ. განათლების უფლება</p> <p>ე. რწმენის თავისუფლება</p> <p>ვ. შრომის უფლება</p>	<p>1. პირადი, სამოქალაქო</p> <p>2. სოციალ-ეკონომიკური</p> <p>3. პოლიტიკური</p>

I	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
II			3*			

*სწორი პასუხი მითითებულია ცხრილში

26. (11 ქულა) წაკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

დემოკრატიული მმართველობა საქართველოში

საქართველოს დემოკრატიის ისტორია იწყება მეოცე საუკუნეში, როდესაც 1917 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. სწორედ ამ დროს დაფუძნდა პირველი ქართული წარმომადგენლობითი ორგანო - უზენაესი საბჭო, რომელმაც 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო პირველი კონსტიტუცია.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს გათავისუფლების შემდეგ საქართველოში განსხვავებული მმართველობის სისტემა ჩამოყალიბდა. სახელმწიფო მმართველობის დაწესებულებები პრაქტიკულად შერწყმული იყო რესპუბლიკური პარტიის შიდაპარტიულ ორგანოებთან.

მორიგი ისტორიული ეტაპი სახელმწიფო მმართველობის განვითარებაში 1990 წელს დაიწყო, როდესაც ჩატარდა პირველი ერთპარტიული არჩევნები, რის შემდეგაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

1991 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეთა ურყევ ნებად დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების მქონე, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება განისაზღვრა. კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმა ლიბერალური რესპუბლიკაა.


საქართველოში მოქალაქეებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო, სასამართლო და საპრეზიდენტო არჩევნებში. ჩამოთვლილთაგან უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს ქვეყნის მოსახლეობა პროპორციული საარჩევნო სისტემით ირჩევს. საქართველოს პრეზიდენტი ირჩევა პირდაპირი არჩევნების წესით, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდება.

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველომ განაცხადა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სურვილი. 1992 წლის ივლისში საქართველო ევროკომისიის 179-ე წევრი გახდა, რაც ორგანიზაციის ღირებულებებისა და პრინციპების აღიარებას გულისხმობს, ხოლო 1999 წელს საქართველო გაწევრიანდა ევროსაბჭოში.

27. (4 ქულა) ქვემოთ მოცემულია პრობლემის აღწერა და მიზანი, რომლის მოგვარებისათვის თქვენ უნდა მოამზადოთ სასკოლო პროექტის მონახაზი, რომელსაც განხორციელებდით სამოქალაქო განათლების კლუბის მეშვეობით:

სასკოლო პროექტი	
პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი	მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მათ უმრავლესობას აქვს საინტერესო ხედვა სკოლის გარემოს განვითარებასთან დაკავშირებით. არსებობს, ასევე, გარკვეული უკმაყოფილებაც სასკოლო პროცესებთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსაზრებებისა და იდეების ხმამაღლა დაფიქსირება მოსწავლეთათვის პრობლემას წარმოადგენს. ერთის მხრივ, არ არსებობს კომუნიკაციის მექანიზმები, ხოლო მეორეს მხრივ, მოსწავლეები უფრო ხიან საკუთარი კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმას.
პროექტის მიზანი	სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.
პროექტის ამოცანები	(კონკრეტული <i>მიმართულებები</i> პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად) <u>I. ამოცანა:</u> <u>II. ამოცანა:</u>
განხორციელების გზები	(კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად) <u>I ამოცანის განხორციელების გზა:</u> <u>II ამოცანის განხორციელების გზა:</u>

28. (4 ქულა) გაეცანით ილუსტრაციას, რომელზეც საარჩევნო ბიულეტენია გამოსახული და უპასუხეთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებს:



28.1 განსაზღვრეთ ილუსტრაციაზე ვის განასახიერებს მწყემსი და რისი სიმბოლოა ცხვრის ფარა?

28.2 რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?

28.3 როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა დაიცვას მოქალაქემ თავი იმისაგან, რის წინააღმდეგაც არის მიმართული ილუსტრაცია?

29. (4 ქულა) გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები:

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც განიხილავს დამნაშავეთა საქმეებს და გამოაქვს განაჩენი. აღნიშნულ ინსტიტუტს ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.

დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, რომლითაც ნათელი ხდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მომხრეთა პოზიცია, ხოლო ორი არგუმენტი მისი მოწინააღმდეგეთა პოზიციის დასაცავად (თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი).

29.1 ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მომხრე:

I არგუმენტი:

II არგუმენტი:

29.2 ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მოწინააღმდეგე:

I არგუმენტი:

II არგუმენტი:

30. (11 ქულა) ყურადღებით გაეცანით ქვემოთ მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1	წყარო N2
 <p>1957 წელი. დოროთი ქაუნთსი, ერთ-ერთი პირველი შავკანიანი ახალგაზრდა, რომელიც დაშვებულ იქნა ა.შ.შ.-ს ერთ-ერთ სკოლაში, სადაც მხოლოდ თეთრკანიანები სწავლობდნენ. მასზე და მის ოჯახის წევრებზე ოთხდღიანი ზეწოლის და მუქარის შემდეგ დოროთი იძულებული გახდა დაეტოვებინა სკოლა.</p>	 <p>1957 წელს 9 შავკანიანი სტუდენტი დაშვებულ იქნა ქალაქ ლიტლ-როკის სკოლაში, სადაც მანამდე მხოლოდ თეთრკანიანები სწავლობდნენ. საზოგადოების წინააღმდეგობის გამო, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ბრძანებით ქალაქში შეყვანილ იქნა ფედერალური ჯარის ნაწილი, რათა დაეცვათ მოსწავლეები საზოგადოების ძალადობისაგან. ცხრა მოსწავლიდან რვა სკოლა წარმატებით დაასრულა.</p>

წყარო N3

ხალხის ნება პრაქტიკულად ნიშნავს ხალხის ყველაზე მრავალრიცხოვანი ან ყველაზე აქტიური ნაწილის ნებას - უმრავლესობის ნებას ან მათ ნებას, ვინც წარმატებით აღწევს საკუთარი თავის უმრავლესობად წარმოდგენას; მაშასადამე, ხალხმა შეიძლება მოისურვოს საკუთარი რიგების რაღაც ნაწილის დაჩაგვრა და ამის წინააღმდეგ თავდაცვის საშუალებები ისევეა საჭირო, როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი სხვა სახის წინააღმდეგ.

[.....]

მაგრამ დაფიქრებულმა ადამიანებმა დაინახეს, რომ როცა საზოგადოება - საზოგადოება კოლექტიურად - თავად არის მისი შემადგენელი ცალკეული ინდივიდების ტირანი, ტირანიის განხორციელების მისი საშუალებები არ არის შეზღუდული მოქმედებებით, რომელთა შესრულებაც მას თავის პოლიტიკურ ფუნქციონერთა ხელებით შეუძლია. საზოგადოებას შეუძლია თავისი საკუთარი განაწესების შესრულება და აკეთებს კიდევ ამას;

და თუ ის სწორის ნაცვლად არასწორ განაწესს იძლევა, ან იძლევა განაწესს საკითხებზე, რომლებშიც არ უნდა ერეოდეს, ის პოლიტიკური ჩაგვრის მრავალ სხვა სახეზე უფრო შემზარავ სოციალურ ტირანიას ახორციელებს. [...] მაშასადამე, საკმარისი არ არის სახელმწიფო მოხელეთა ტირანიისაგან დაცვა: საჭიროა დაცვა გაბატონებული შეხედულებების ან გრძნობების ტირანიისაგანაც. საჭიროა დაცვა საზოგადოების მიდრეკილებისგან, სამოქალაქო სასჯელისაგან განსხვავებული საშუალებებით საკუთარი იდეები და ჩვევები ქცევის წესებად მოახვიოს თავს მათ, ვინც მას არ ეთანხმება, შეუბოროკოს განვითარება და, თუ შესაძლებელია, ხელი შეუშალოს ჩამოყალიბებაში ისეთ ინდივიდუალობას, რომელიც არ არის ჰარმონიაში მის წესებთან, ყველა ხასიათს მის საკუთარ მოდელზე მორგება აიძულოს. არსებობს ინდივიდუალურ დამოუკიდებლობაში კოლექტიური შეხედულების ლეგიტიმური ჩარევის საზღვარი, ხოლო ამ საზღვრის მოძებნა და მისი დარღვევისგან დაცვა ისევე აუცილებელია ადამიანების საქმეების სასიკეთო მდგომარეობისთვის, როგორც პოლიტიკური დესპოტიზმისაგან დაცვა.

ჯონ სტიუარტ მილი, „თავისუფლების შესახებ“

30.1 ჩამოთვლილთაგან რომელი ტერმინი არ შეიძლება იქნას გამოყენებული 1957 წელს ამერიკაში შავკანიანი მოსახლეობისადმი დამოკიდებულების აღსაწერად?

- ა. რასიზმი
- ბ. სეგრეგაცია
- გ. გენოციდი
- დ. დისკრიმინაცია

30.2 წყაროში ნახსენებია ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთის აუცილებლობა. რომელი პრინციპი გამოიყენება სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ?

- ა. ძალაუფლების დანაწილების
- ბ. უმრავლესობის მმართველობის
- გ. სოციალური დამოკიდებულების
- დ. ძალაუფლების ცენტრალიზაციის

30.3 რომელი მსჯელობა შეესაბამება ტექსტის შინაარსს?

- ა. ინდივიდის ნება უნდა იყოს ჰარმონიაში უმრავლესობის წესებთან
- ბ. ინდივიდის დამოუკიდებლობაში ჩარევა, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს ნებადართული
- გ. ინდივიდის დამოუკიდებლობაში კოლექტიური შეხედულების ჩარევა არცერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული
- დ. ინდივიდის ნების განხორციელება აუცილებლად გადაიზრდება ძალადობაში, რაც თავის მხრივ ტირანიის საფუძველია

30.4 წყარო N3-ის მიხედვით განმარტეთ ტერმინი „სოციალური ტირანია“?

30.5 იმსჯელეთ წყაროებზე დაყრდნობით, თუ რა საშუალებები არსებობს „სოციალური ტირანიის“ შესაკავებლად?

30.6 შეაფასეთ N 1 და N 2 წყაროებში აღწერილი მოვლენა ჯონ სტიუარტ მილის ტექსტის გამოყენებით:

30.7 დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლება ხორციელდება უმრავლესობის ინტერესების გათვალისწინებით. იმსჯელეთ, რამდენად აბსოლუტურია ეს პრინციპი და უნდა დაექვემდებაროს თუ არა სახელმწიფოს გადაწყვეტილებები ყოველთვის უმრავლესობის ნებას:

30.8 იმსჯელეთ არგუმენტირებულად რამდენად აქტუალურია წყაროებში აღწერილი პრობლემა საქართველოს დღევანდელი რეალობისათვის. მოიყვანეთ მაგალითი:
